



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მენახირის ბალი

მენახირის ბალი (*Prunus incana*), ბუჩქი ვარდისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 1-2 მ აღწევს. ძლიერ დატოტვილი ბუჩქია. ყლორტები ნაცრისფრად აქვს შებუსული. ფოთლები მოგრძო ლანცეტაა და ქვემოდან თეთრ-ქერისებრია. ვარდისფერი მოკლეყუნწიანი ან თითქმის მჯდომარე ყვავილები ტოტებზე ჯგუფ-ჯგუფად (4-8 ერთად) სხედან. ნაყოფს მომჟავო-მოტკბო გემო აქვს. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიასა და კავკასიაში. საქართველოში მხოლოდ მის აღმ. ნაწილში იზრდება. მ. ბ-ის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელია ქვალორლიანი და კლდოვანი ადგილები. ყვავილობს მაისში, ნაყოფი მწიფდება ივნისსა და ივლისში. მრავლდება თესლით, მწვანე კალმითა და ამონაყარით. გამოსადეგია მშრალი ფერდობების შესამაგრებლად, ალუბლის საძირედ.

---